მოსკოვის “ცდკა” გავიდა ნახევარფინალში

გუშინ, 5 ოქტომბერს, მოსკოვში “დინამოს” ცანტრალურ სტადიონზე ჩატარდა “სსრ კავშირის თასის” გათამაშების ერთ–ერთი საინტერესო მატჩი. ერთმანეთს შეხვდა ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი – მოსკოვის “ცდკა” და თბილისის “დინამო”.

თამაშის პირველი წუთები დაიწყო მოსკოველთა იერიშებით და მეკარე შუდრას რამდენიმე საშიში ბურთის მოგერიება მოუხდა. მე–20 წუთზე მსაჯი შჩელჩკოვი (მოსკოვი) უხეშობისათვის მოედნიდან აძევებს თბილისელთა ცენტრალურ ნახევარმცველს სალდაძეს. “დინამოელები” ათნი რჩებიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიაქვთ იერიშები მოსკოველთა კარზე. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე ტაიმის მე–12 წუთზე მოსკოველი ბობროვი პირისპირ რჩება მეკარე შუდრასთნ. მიუხედავად შუდრას სხარტი ნახტომისა, ბობროვის მიერ ზუსტად დარტყმული ბურთი ეხვევა ბადეში. ამის შემდეგ “დინამოელებმა” კვლავ მიიტანეს იერიშები მოწინააღმდეგის კარზე, მაგრამ ამაოდ.

შეხვედრა დამთავრდა წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

ამ გამარჯვების შედეგად მოსკოვის “ცდკას” გუნდი გავიდა ნახევარფინალში. იგი 9 ოქტომბერს მორიგ შეხვედრას ჩაატარებს 1944 წლის “სსრ კავშირის თასის” გათამაშებაში გამარჯვებულ ლენინგრადის “ზენიტთან”.

ა. გოგოლაშვილი.

“კომუნისტი”, 6 ოქტომბერი, 1945 წ.